I. როგორ ხდება სამოქალაქო რელიგიის პოლიტიკურ რელიგიად გადაქცევა: საბერძნეთი, რუმინეთი და რუსეთი

ქრისტიანული მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკური რელიგიები პოლიტიზებული რელიგიის ფორმებია. ორივე მართლმადიდებლობის არაორთოდოქსული ფორმაა, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. პოლიტიკური რელიგია უფრო პოლიტიზებული და ნაკლებად მართლმადიდებლურია, ვიდრე სამოქალაქო რელიგია. სამოქალაქო რელიგია ხშირად გზას უხსნის იძულებისმიერ პოლიტიკურ რელიგიას. ეს მართლაც დადასტურდა ბევრ აღმოსავლურ ქრისტიანულ საზოგადოებაში, სადაც სამოქალაქო რელიგიამ კარი გაუღო პოლიტიკურ რელიგიას. ჩვენ ამ სამწუხარო ტენდენციას სამ მაგალითზე განვიხილავთ: საბერძნეთის, რუმინეთისა და რუსეთის.

1. საბერძნეთის მაგალითი

ბერძნული სამოქალაქო რელიგია პროტოტიპულია აღმოსავლეთ ქრისტიანობის სამყაროში და არქეტიპულია მრავალი მართლმადიდებლური ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ბალკანეთში. ბერძნულ სამოქალაქო რელიგიას, რომელიც განმანათლებლობის ნაყოფია, ბალკანეთის სამოქალაქო რელიგიაც შეიძლება ეწოდოს. მიუხედავად მისი სეკულარიზმში გადგმული ფესვებისა, ის არ იყო ანტიკლერიკალური. უფრო მეტიც, მის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ სასულიერო პირებმა და იერარქებმა შეიტანეს. მისი მთავარი მიზანი იყო ოსმალეთის მმართველობიდან გათავისუფლება. ბალკანეთის სამოქალაქო რელიგიამ ევოლუცია განიცადა პოლიტიკური განთავისუფლების იმედიდან ერის წმინდა ინსტიტუტად გადაქცევამდე. ის წარსულის კონსტრუირებულ, ხშირად წარმოსახვით თხრობას ეფუძნება.

ბერძნულმა სამოქალაქო რელიგიამ თანამედროვე ბერძენი ერი საბერძნეთის ისტორიის ყველა ისტორიული პერიოდის ერთმანეთთან შეკვრით წარმოქმნა. თანამედროვე ბერძნული ეროვნული ნარატივის ავტორმა, კონსტანტინოს პაპარრიგოპულოსმა (1815–1891) თანმიმდევრული ელინიზმი აღწერა კლასიკური ანტიკურობიდან ბიზანტიის პერიოდის გავლით ნეოელინისტურ სახელმწიფომდე. მისთვის ელინიზმს ისტორიული მრავალსახოვნება ახასიათებდა, თუმცა სხეული ყოველთვის იგივე რჩებოდა.[1] ეს იდეა, რომელიც ჩვენს დროში თვალსაჩინოა, მეცხრამეტე საუკუნის ბერძნებისთვის სიახლე იყო. ის დაკავშირებულია სამებოვანი ღმერთის ქრისტიანულ მოძღვრებასთან: როგორც ერთი ღმერთია სამ ჰიპოსტასში, ასევე ერთი და იგივე ელინიზმი ისტორიულად გამოიხატა კლასიკური ანტიკურობის,

[1] იხ. Antonis Liakos, "Hellenism and the Making of Modern Greece", in Katerina Zacharia, ed., *Hellenisms: Culture, Identity, and Ethnicity from Antiquity to Modernity* (Aldershot: Ashgate, 2008), 211.

ბიზანტიისა და თურქული უღლისაგან განთავისუფლებული თავისუფალი ბერძნული სახელმწიფოს „ჰიპოსტასებით“. ეს სამებოვანი მეტაფორა საფუძვლად დაედო ბერძნულ სამოქალაქო რელიგიას.

ამ რელიგიის ყველაზე წმინდა მოვლენა იყო 1821 წლის განმათავისუფლებელი რევოლუცია. იმისთვის, რათა ხალხს ის წმინდად მიეღო, მისი მოვლენები შესაბამისობაში იყო ტრადიციულ საეკლესიო კალენდართან. ბერძნული სამოქალაქო რელიგიის გადმოცემის თანახმად, ძველი პატრას მიტროპოლიტმა გერმანოსმა (1771–1826) ხარების დღესასწაულზე, 25 მარტს აკურთხა ბერძნული რევოლუციის დროშა. ეს ამბავი შესაძლოა ისტორიულად ზედმიწევნით სწორი არ იყოს, მაგრამ ის სამოქალაქო „წმინდა გადმოცემის“ ფუნქციას ითავსებს. ხარების დღესასწაული ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნული სამოქალაქო დღესასწაული გახდა წმინდა ჰემეროლოგიაში - დღესასწაულების ნუსხაში. ის აღინიშნება როგორც სახელმწიფო დღესასწაული და დღესასწაულებს მრავალი ბერძენი ესწრება, ისინიც კი, ვისაც ღმერთი არ სწამს.

მიტროპოლიტი გერმანოსი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა ბერძნული სამოქალაქო რელიგიის ჰაგიოლოგიაში – „წმინდანთა“ ნუსხაში. ჰაგიოლოგია ასევე მოიცავს სხვა იერარქებს, სასულიერო პირებს და პოლიტიკოსებსაც კი. მათ შორის არიან ეგრეთ წოდებული ეთნომოწამეებიც – ის საეკლესიო მოღვაწეები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ბერძენი ერის გათავისუფლებას: კონსტანტინოპოლის პატრიარქი გრიგორიოს V, რომელიც ოსმალებმა 1821 წლის რევოლუციისთვის განტევების ვაცად ჩამოახრჩვეს; სმირნის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, რომელიც თურქმა აჯანყებულებმა 1922 წელს მოკლეს მცირე აზიაში საბერძნეთის წარუმატებელი სამხედრო კამპანიის შემდეგ და კიდევ ბევრი სხვა. ბერძნული სამოქალაქო რელიგიის ერთ-ერთი პატივცემული მოღვაწე, ათანასიოს დიაკოსი (1788–1821) იეროდიაკონი იყო – ბერი დიაკვნის წოდებით. საეკლესიო სტატუსს მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ გამხდარიყო ოსმალეთის წინააღმდეგ მეამბოხე (კლეფტის [κλέφτης] ან ავაზაკი). სამოქალაქო რელიგიის თვალსაზრისით, ათანასიოსის ეს ორი უნარი - სასულიერო პირობა და ავაზაკობა - უპრობლემოდ ერწყმის ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძნელად თავსებადია ტრადიციული რელიგიის თვალსაზრისით. იოანის კაპოდისტრიასი (1776–1831), დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს პირველი მეთაური და მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელიც ნაფპლიონის ეკლესიის კიბეზე მოკლეს, ბერძნული პანთეონის ფიგურა გახდა ისევე, როგორც აბრაამ ლინკოლნი ამერიკის სამოქალაქო რელიგიაში.[2]

საბერძნეთის ეკლესიამ არა მხოლოდ გავლენა იქონია ბერძნული სამოქალაქო რელიგიის ჩამოყალიბებაზე, არამედ თავადაც განიცადა მისი დიდი გავლენა. ბერძენი ერის ბრძოლამ ოსმალეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობისთვის ბერძნულ ეკლესიასაც დააკისრა ბრძოლის ვალდებულება ავტოკეფალიისთვის - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან გამოყოფისათვის. ამრიგად, ბერძნული ავტოკეფალია სამოქალაქო რელიგიის ნაწილი გახდა. არქიმანდრიტი თეოკლიტო ფარმაკიდისი (1784–1860), რომელმაც მთავარი როლი შეასრულა 1833 წელს საბერძნეთის ავტოკეფალიის

[2] Yiorgos Lakopoulos, “Lincoln”, *Ta Nea*, December 21, 2012, https:// tinyurl.com/ybuea9ve.

გამოცხადებაში, ცენტრალური ფიგურაც იყო ბერძნული სამოქალაქო რელიგიის დოქტრინის არტიკულირებაში.

მეოცე საუკუნის განმავლობაში ბერძნულმა სამოქალაქო რელიგიამ არასტაბილურობა და დაუცველობა გამოავლინა იძულებითი მეთოდების მიმართ. ის რამდენჯერმე გარდაიქმნა მაიძულებელ პოლიტიკურ რელიგიად დიქტატურის დროს. ერთ-ერთი ასეთი დიქტატურა იყო იოანეს მეტაქსასის რეჟიმი, რომელიც 1936 წლიდან 1941 წლამდე ბატონობდა. მეტაქსასი თავის მისიას ბერძნული სამოქალაქო რელიგიის იდეალების განხორციელებაში ხედავდა, როგორც ეს იყო ჩამოყალიბებული მეცხრამეტე საუკუნეში. თუმცა, ოპონენტების მიმართ ძალადობის გამოყენებით და ქვეშევრდომების სწავლებით, მან ეს სამოქალაქო რელიგია პოლიტიკურ რელიგიად აქცია. კერძოდ, მეტაქსასს სჯეროდა, რომ სახელმწიფო ინდივიდებზე უპირატესია.[3] მისი სახელმწიფო იყო ტოტალიტარული და ამ მხრივ იდეოლოგიურად ახლოს იდგა მუსოლინის ფაშისტურ სახელმწიფოსთან, რომელთანაც 1940 წელს მეტაქსასს მაინც მოუწია სამხედრო შეტაკება. მეტაქსასი ასევე ბაძავდა მესამე რაიხის ზოგიერთ სტრუქტურასა და იდეოლოგემას.[4] „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“) ფართოდ გამოიცა და იკითხებოდა მეტაქსასის საბერძნეთში. „ახალგაზრდული ეროვნული ორგანიზაცია“ (Ἐθνική Ὀργάνωσις Νεολαίας) ბაძავდა ჰიტლერგიუგენდს,[5] ხოლო საბერძნეთის უსაფრთხოების სამსახურები შუცტაფელისა და გესტაპოს მოდელზე შეიქმნა. ასეც რომ იყოს, მეტაქსასის რეჟიმი სრულად ვერ იქნება გაიგივებული ნაციზმთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი ითვალისწინებდა წმინდა ბერძნული რასის მიერ საბერძნეთზე სრული კონტროლის აღებას, ის ანტისემიტური არ ყოფილა. მეტაქსასმა გონივრულად შორს დაიჭირა თავი ჰიტლერისა და მუსოლინისაგან. მას ეშინოდა, რომ ისინი საბერძნეთის ეროვნულ სუვერენიტეტს დაარღვევდნენ.

მეტაქსასი ავადმყოფობით გარდაიცვალა 1941 წლის დასაწყისში და ამის შემდეგ ნაცისტები მალევე შეიჭრნენ საბერძნეთში. ოკუპაცია 1944 წლამდე გაგრძელდა, სანამ გერმანიის ჯარებმა აღმოსავლეთ ფრონტზე განვითარებული მოვლენების, მოკავშირეებისა და ადგილობრივი *წინააღმდეგობის* გავლენით ქვეყნიდან გასვლა გადაწყვიტეს. ნაცისტებისგან საბერძნეთის გათავისუფლებას მშვიდობა არ მოუტანია სამოქალაქო ომით (1946–1949) ტანჯულ ქვეყანაში. ეს ომი მიმდინარეობდა *წინააღმდეგობაში* მონაწილე ბერძნულ ჯარებს შორის, რომელთაგან ბევრს კომუნისტური იდეები ამოძრავებდა და ისინი საბჭოთა კავშირს უჭერდნენ მხარს, ასევე პროსამთავრობო ჯგუფებს შორისაც, რომელთაგან ბევრს ფესვები მეტაქსასის რეჟიმში ჰქონდა გადგმული. სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელიც პროკომუნისტური მხარის დამარცხებით დასრულდა, ბრძოლა პოლიტიკურ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის გაგრძელდა.

ამან გამოიწვია ასპარეზზე ბერძნული პოლიტიკური რელიგიის მძლავრი ხელახალი გამოსვლა დიქტატურის დროს, რომელიც 1967 წლიდან 1974 წლამდე

[3] იხ. P.J. Vatikiotis, *Popular Autocracy in Greece, 1936–1941: A Political Biography of General Ioannis Metaxas* (London: Frank Cass, 1998), 185.

[4] იხ. Stephen J. Lee, *European Dictatorships 1918–1945* (London: Routledge, 2016), 26.

[5] იხ. John Carr, *The Defence and Fall of Greece: 1940–41* (Barnsley: Pen et Sword Military, 2013), 9.

გრძელდებოდა. ეგრეთ წოდებულმა „შავი პოლკოვნიკების ხუნტამ“ გეორგიოს პაპადოპულოსის (1919-1970) ხელმძღვანელობით პოლიტიკური ძალაუფლება გადატრიალების გზით ჩაიგდო ხელში. „პოლკოვნიკების“ პოლიტიკურ პროგრამაში იყო კონსერვატიზმი და ნაციონალიზმი. მისი ლოზუნგი იყო „ბერძენი ქრისტიანების საბერძნეთი“ (Ἑλάς, Ἑλήνων Χριστιανῶν).[6] ამ პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისას სამხედრო რეჟიმმა დაარღვია საბერძნეთის კონსტიტუცია და დაიწყო პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება და მკვლელობა.

ძლიერმა კონსერვატიულმა და ნაციონალისტურმა დღის წესრიგმა, რომელიც ბიზანტიური წარსულიდან მოხმობილ მასალებთან იყო შერწყმული, წაახალისა საბერძნეთის ეკლესია, მიეღო ხუნტა და მხარი დაეჭირა მისთვის. ეს მხარდაჭერა იგრძობოდა ეკლესიის ყველა წოდებისა და ფენისგან. მაგალითად, ახალი პოლიტიკური რეჟიმის გმირებს შორის იყვნენ საერო რელიგიური ორგანიზაციები ან საძმოები, როგორიცაა „ზოი“ („სიცოცხლე“) და „სოტირი“ („მხსნელი“). ათენის მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ ((1905–1988), საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი 1967–1973 წლებში) „შპიგელთან“ ინტერვიუში აღნიშნა „ძალიან მადლიერი ვართ არმიის, რომელმაც საბერძნეთი გადაარჩინაო“.[7] პატივცემული სულიერი ავტორიტეტი, გერონდა (უხუცესი) თეოკლიტოსი (1916–2006) ათონის წმინდა დიონისეს მონასტრიდან, ღიად ადიდებდა ხუნტის ერთ-ერთ ლიდერს, სტილიანოს პატაკოსს (1912–2016), რომელმაც ერთხელ თქვა, „ჩვენ მოკავშირედ ღმერთი გვყავსო“:

> ათწლეულების განმავლობაში ველოდით ელინურ-ქრისტიანული სულის გამომხატველი ენის გაგონებას. ეს სარწმუნოების ენაა, ქრისტიანული და ბერძნული ენა, რომელიც გამოხატავს ეროვნული სულის უშიშარ კლასიკურ სიმამაცეს და ურყევ სტაბილურობას ხალხის ბედთან მიმართებით, რასაც ღმერთისადმი მართლმადიდებლური რწმენა იძლევა. ამ ფრაზის მაღალი შინაარსი არა მხოლოდ აყალიბებს ნათელ გამყოფ ხაზს ბოლო ათწლეულების მანკიერ და ყველაზე ათეისტურ წარსულსა და 21 აპრილის დილას შორის, რომელმაც ჩვენ ელინო-ქრისტიანული აურა მოგვიტანა; ის ასევე აღძრავს მოგონებებს ბიზანტიის საფუძვლებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ. ამიტომ ჩვენი გული დაპყრობილია და გონება ეროვნულ საფუძვლებში დაბრუნების იდეით და იმედით ფართოვდება. მართლმადიდებლური საბერძნეთის ათეისტური კომუნიზმისგან გადარჩენისკენ მიმართული რევოლუცია ნიშანი იყო ღვთისაგან.[8]

ეკლესიის ასეთი გულმხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, რეჟიმმა მრავალგზის შებღალა მისი ავტორიტეტი. პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე რეჟიმმა ათენის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II (1962–1967) საკუთარი კადრით, მთავარეპისკოპოსი იერონიმოს I-ით ჩაანაცვლა. რამდენიმე იერარქი, რომელიც არ ემხრობოდა ახალ რეჟიმს, ასევე ჩანაცვლდა უფრო ლოიალური მიტროპოლიტებით. ეკლესიის სინოდი გადალაგდა. ფართოდ

---

[6] იხ. G. Karayanni, *Ekklisia ke kratos 1833–1977, istoriki episkopisi ton skheseon tus* [ეკლესია და სახელმწიფო 1833–1977 წლებში: მათი ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვა] (Athens: To Pontiki, 1997), 167.

[7] W. Fischer, E. Rondholz, and G. Farantu, *Epanastasi ke antepanastasi stin Ellada (1936–1974)* [The Revolution and Counter-Revolution in Greece (1936–1974)] (Athens: Bukumani, 1974), 118. უნდა აღინიშნოს, რომ 1969 წლის აგვისტოს შემდეგ, იერონიმოსმა დაიწყო რეჟიმის გაფრთხილება ძალადობის გადამეტებული გამოყენების წინააღმდეგ.

[8] SMP, "I mavri vivlos tu Elliniku katikhismu" [ბერძნული კატეხიზმოს შავი წიგნი], *Khristianiki*, March 8, 1974, 6.
See Kharis Andreopulos, *I Ekklisia kata ti Diktatoria (1967–1974): istoriki ke nomokanoniki prosengisi* [ეკლესია და დიქტატურა (1967–1974 წწ.): ისტორიული და კანონიკური მიდგომა] (Thessaloniki: Epikentro, 2017).

გავრცელებული შეხედულებით ამგვარი ნაბიჯები არაკანონიკურია.[9]

ბერძნული ეკლესიის რეპუტაცია კვლავ სუსტდებოდა მას შემდეგ, რაც დიქტატურა დაემხო „პოლიტექნიკური“ (Πολυτεχνείο [პოლიტექნიო]) აჯანყების შემდეგ. დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში ეკლესია ბერძნული საზოგადოების მრავალი საჯარო სფეროდან განიდევნა. ამის შემდეგ ეკლესიის რეპუტაცია სრულად აღარც აღმდგარა. 1967 წლიდან 1974 წლამდე დიქტატურასთან ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის თანამშრომლობის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური რელიგია ეკლესიას სიკეთეს ვერ მოუტანს. ეკლესია ყოველთვის წაგებულია, როდესაც მხარს უჭერს პოლიტიკურად მაიძულებელ რელიგიას ნებისმიერი მიზეზით, იქნება ეს იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ ფინანსური. ბერძნული მაგალითი ასევე ითვალისწინებს ზოგად წესს პოლიტიკური რელიგიების შესახებ: ისინი მიდრეკილნი არიან ქრისტიანობის საფუძვლებთან დაპირისპირებისაკენ და ეკლესიის სტრუქტურების დეფორმირებას ახდენენ.

2. რუმინეთის მაგალითი

რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის ევოლუცია მრავალი თვალსაზრისით თანხვედრაშია მის ბერძნულ ანალოგთან. არქეტიპული ნეოელინისტური სამოქალაქო რელიგიის ზოგიერთი მახასიათებელი უფრო წინ წავიდა რუმინეთში, განსაკუთრებით ნაციონალისტური ელემენტი. თავდაპირველ ნეოელინისტურ ნაციონალიზმს უპირისპირდებოდა ბერძნული უნივერსალისტური წარსული. რუმინეთს ასეთი საპირწონე არ ჰქონდა. შედეგად, მისი ნაციონალიზმი უფრო პარტიკულარისტული და იზოლაციონისტური იყო. ნაციონალიზმი რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლია. ნიკოლაე იორგამ (1871–1940), ამ რელიგიის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, რუმინული ნაციონალიზმის მტკიცე და ერთიანი ხასიათი შემდეგნაირად გამოხატა:

> ნაციონალიზმი არის დოქტრინა, რომელსაც თუ ჩასწვდები, თავს ვეღარ დაანებებ, რადგან მისი გამაქარწყლებელი არგუმენტი არ არსებობს. ბევრს ვერ წარმოუდგენია, რომ ნაციონალიზმიც განსაკუთრებული გზაა ჩვენი ცხოვრების ყველა აქტუალური პრობლემის გასაგებად და განსასჯელად - იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული - რომელიც ამ მომენტში არსებული პირობების გათვალისწინებით - ყველაფრის გარდაქმნის აუცილებლობას წარმოადგენს იმ რეალობის საფუძველზე, რომელიც ჩვენი უნდა იყოს და უნდა ასახავდეს ჩვენს ყოფას, ამიტომ, ამავე დროს, ის მორალური შენიშვნაცაა.[10]

ისევე, როგორც საბერძნეთში, რუმინეთშიც სამოქალაქო რელიგია გაჩნდა, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს იმპერიების ნაწილებიდან დამოუკიდებელ ერად გადაწყობას. ნაწილები, რომელთაგანაც სამოქალაქო რელიგიამ ერთიანი ერი ააწყო, იყვნენ ვლახეთი, მოლდოვა და ტრანსილვანია. შესაბამისად, ისინი ოსმალეთის, რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების

---

[9] იხ. Kharis Andreopulos, *I Ekklisia kata ti Diktatoria (1967–1974): istoriki ke nomokanoniki prosengisi* [ეკლესია და დიქტატურა (1967–1974 წწ.): ისტორიული და კანონიკური მიდგომა] (Thessaloniki: Epikentro, 2017).

[10] Nicolae Iorga, "What Is Nationalism?", in *Eastern European Nationalism in the Twentieth Century*, ed. Peter F. Sugar, trans. James P. Niessen (Lanham, MD: American University Press, 1995), 273–74.

დაქვემდებარებაში იყვნენ. ემანსიპაცია დაიწყო ტრანსილვანიაში, ხოლო ვლახეთმა და მოლდოვამ გადამწყვეტი როლი შეასრულეს რუმინეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამ სახელმწიფოს ბირთვს შეადგენდა 1859 წელს ვლახეთისა და მოლდოვის გაერთიანება.

საბერძნეთის მსგავსად, რუმინეთის მიწების პოლიტიკური კონსოლიდაცია დამოკიდებული იყო ერთიანი ეთნიკური იდენტობის აგებაზე. ეს იდენტობა მნიშვნელოვანწილად ხელოვნური და მითიური იყო[11] ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში წარმოშობილი ნაციონალური იდენტობების უმეტესობა. ეს იდენტობა წარსულის იმ ზოგიერთი მოვლენის საფუძველზე აშენდა, რომლებიც ეკლექტიკურად იყო შეკოწიწებული, რათა ახალი ერისათვის ისტორიაში ფესვგადგმულობის განცდა შეექმნა. ასეთი მითიური კონსტრუქციების მიზანი ყოველთვის არის ის, რომ ერმა თავისი იდენტობა მრავალწლოვნად და თითქმის მარადიულად აღიქვას. რუმინეთის შემთხვევაში, მისი წარსული, რომელიც სამოქალაქო რელიგიის ფარგლებშია აგებული, უფრო ლეგენდარული იყო, ვიდრე საბერძნეთის შემთხვევაში.

რუმინეთის უძველესი წარსულის ძირითადი ელემენტი იყო მითი ორი რომაული ლეგიონის შესახებ, რომლებიც დაახლოებით 110 წელს სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდნენ დაკიაში. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ლეგიონებიდან ჯარისკაცები ცოლებს ადგილობრივი ქალებიდან ირჩევდნენ. ამრიგად, რუმინელი ხალხი რომაელებსა და დაკიელებს შორის ქორწინებიდან წარმოიშვნენ. ეს ამბავი ისტორიული მტკიცებულებებით ვერ დასტურდება. მიუხედავად ამისა, იგი რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის ლეგენდარული ბირთვი – მისი „წარმოშობის მითია“.[12] ის, რასაც „დაკია-რომაული რუმინული თემის“ თეორიას უწოდებენ, რუმინელმა ინტელექტუალებმა მეცხრამეტე საუკუნეში შექმნეს. რუმინეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც აქტიურად შეუწყო ხელი ამ ლეგენდას და ის, თითქოსდა, ერის „ვიტაში“ გააერთიანა. ამ ღვთისმოსავი „ვიტას“ მიხედვით, რომაელი ჯარისკაცები ქრისტიანები იყვნენ. მაშინ როცა ბერძნული სამოქალაქო რელიგია წმინდა სამებას მოიხსენიებდა ერთი და იმავე ერის სამი ისტორიული ეტაპის იდეის მხარდასაჭერად, რუმინული სამოქალაქო რელიგია ეფუძნებოდა თითქოსდა ქრისტიან რომაელებსა და წარმართ დაკიელებს, რომლებიც ერთიან რუმინელ ერში იესო ქრისტეს ორბუნებოვნების მსგავსად გაერთიანდნენ.

არის ორი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალონ რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის გმირებად: ბერძენი კათოლიკე ეპისკოპოსი ინოცენციუ მიკუ-კლაინი (1692–1768) და სიბიუს მართლმადიდებელი მიტროპოლიტი ანდრეი იაგუნა (1809–1873). რუმინელი ერის აღიარების შესახებ ჰაბსბურგებისთვის 1791 წელს წარდგენილი პეტიციების უკან ინოცენციუ იდგა. ეს პეტიციები ცნობილია როგორც Supplex Libellus Valachorum და წარმოადგენს „რუმინელი ერის დაბადების მოწმობას“.[13] როგორც კრისტიან რომოსეა აღნიშნავს, „ეპისკოპოსი ინოცენციუ ეროვნული ემანსიპაციის

---

[11] იხ. Geoffrey Hosking and George Schöpflin, eds., *Myths and Nationhood* (London: Hurst, 1997).

[12] იხ. Robert Bellah, *The Broken Covenant: American Civil Religion in Time of Trial* (Chicago: University of Chicago Press, 1992), 4.

[13] Angelika Schaser, *Reformele iosefine în Transilvania și urmările lor în viața socială* [რეფორმები ტრანსილვანიაში და მათი შედეგები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე] (Sibiu: Hora, 2000), 214.

სიმბოლოდ რჩება. ნამდვილი წვლილი კი რუმინულ ნაციონალიზმსა და მართლმადიდებლობას შორის იდენტიფიცირებაში იაგუნამ შეიტანა.[14] ამრიგად, ეს ორი იერარქი რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის ორი სხვადასხვა ეტაპია: ემანსიპაციისა და ერის მშენებლობის.

რუმინეთის სამთავროების მმართველმა (დომნიტორმა) ალექსანდრუ იოან კუზამ (1859–1866 წწ.) მოაწყო სხვადასხვა ლეგენდარული და ისტორიული ელემენტის წმინდა ნარატივის გაყალბება, რომელმაც ჩამოაყალიბა რუმინეთის ეროვნული იდენტობა. 1859 წელს კუზამ შეძლო რუმინეთის სამთავროების გაერთიანება და ის შეიძლება რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის არქიტექტორად ჩაითვალოს. ის ასევე ხელმძღვანელობდა რუმინული ეკლესიის ბრძოლას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლობისთვის – ავტოკეფალიისთვის. რუმინეთის ავტოკეფალია, ისევე როგორც ადრინდელი ბერძნული ავტოკეფალია, სამოქალაქო რელიგიის პროგრამის ნაწილი გახდა. ამას მოჰყვა ავტონომიური რუმინული ეკლესიების გაერთიანება და ამით მოხდა რუმინეთის მიწების გაერთიანების საკრალიზება. 1865 წელს რუმინეთის ორი მიტროპოლია: ბუქარესტში (ვალახია) და იაშში (მოლდოვა) ერთი რუმინელი პრიმატის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდა ბუქარესტში. ვლახეთისა და მოლდოვის პოლიტიკური გაერთიანებიდან ექვსი წლის შემდეგ ეს ეკლესია ავტოკეფალურად გამოცხადდა. რუმინეთის ავტოკეფალია ოცი წლის განმავლობაში არ აღიარებულა, სანამ ის კონსტანტინოპოლმა საბოლოოდ არ მიიღო 1885 წელს.

საბერძნეთის მსგავსად, ავტოკეფალია, როგორც ეკლესიის სამოქალაქო რელიგიაში ჩართვის საშუალება, ნიშნავდა სახელმწიფოს უფრო მეტ კონტროლს და ჩარევას ეკლესიის საქმეებში. კუზამ საბერძნეთში ადრე შექმნილი მექანიზმების მიხედვით შექმნა ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები. მან ეპისკოპოსები ეკლესიის წინამძღვრის მეშვეობით თავის კონტროლს დაუქვემდებარა, ეკლესიის ფინანსები საკუთარ ხელში აიღო და საეკლესიო მიწების სეკულარიზება მოახდინა. ისინი, ვინც მას არ ეთანხმებოდნენ, როგორიც იყო მაგალითად, მოლდოვის მიტროპოლიტი სოფრონი მიკლესკუ (1790–1861), თავისი ორკესტრირებული სინოდის მეშვეობით გადააყენა.[15]

რუმინეთში პოლიტიკური მოღვაწეების უმეტესობამ განაგრძო ადგილობრივი სამოქალაქო რელიგიის მშენებლობა. ერთ-ერთმა მათგანმა, ნიკოლა იორგამ, თავისი წვლილი შეიტანა რამდენიმე თანამდებობაზე: როგორც პუბლიცისტმა და საჯარო გამომსვლელმა, პრემიერ-მინისტრმა (1931–32 წლებში) და ბიზანტიის მეცნიერების დარგის მეცნიერმა. მისი წიგნი „ბიზანტია ბიზანტიის შემდეგ“[16] კლასიკად იქცა ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ბიზანტიური ცივილიზაციის გადარჩენის შესახებ არსებულ ლიტერატურაში. მან, როგორც პოლიტიკოსმა, თანამედროვე

[14] Cristian Romocea, *Church and State: Religious Nationalism and State Identifica- tion in Post-Communist Romania* (London: Continuum, 2011), 118.

[15] იხ. Lucian N. Leustean, ed., *Orthodox Christianity and Nationalism in Nineteenth-Century Southeastern Europe* (New York: Fordham University Press, 2014), 117.

[16] Nicolae Iorga, *Byzance après Byzance: continuation de l'histoire de la vie byzantine* [ბიზანტია ბიზანტიის შემდეგ: ბიზანტიური ცხოვრების ისტორიის გაგრძელება] (Bucarest: L'Institut d'études byzantines, 1935).

რუმინული სახელმწიფო განიხილა „ბიზანტიად ბიზანტიის შემდეგ“.[17] მან ბიზანტიური წარსული რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის განუყოფელ ნაწილად აქცია. თუმცა, ისევე როგორც საბერძნეთში, ბიზანტიით გატაცება იმ ფაქტორთა შორის იყო, რომლებმაც გამოიწვია სამოქალაქო რელიგიის გადაქცევა იძულებით პოლიტიკურ რელიგიად.

1930-იან წლებში რუმინეთში ძალადობრივმა პოლიტიკურმა რელიგიამ თანდათან შეცვალა სამოქალაქო რელიგია და თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა, სანამ 1989 წელს ნიკოლაუ ჩაუშესკუს რეჟიმი დაემხობოდა. მას ორი საპირისპირო ეტაპი ჰქონდა: ერთი იყო მონარქიის და ეკლესიის მომხრე და ანტიკომუნისტური, ხოლო მეორე იყო კომუნისტური და ანტიეკლესიური. მიუხედავად ყველა განსხვავებისა, რუმინეთის პოლიტიკური რელიგიის ამ ფაზებში იყო მსგავსებაც ავტორიტარული მეთოდებისა და მიზნების მისაღწევად რელიგიური მონდომების თვალსაზრისით. ასევე, ისინი, მეტ-ნაკლებად, ეკლესიის მიერ აღესრულებოდა.[18]

რუმინეთის პოლიტიკური რელიგიის ადრეული ეტაპი 1927 წელს მემარჯვენე ნაციონალისტური „მთავარანგელოზ მიქაელის ლეგიონის“ (Legiunea Arhanghelului Mihail) დაარსებით დაიწყო. მისი დამფუძნებელი იყო კორნელიუ ზელეა კოდრეანუ (1899-1938), მოხსენიებული, როგორც „ანგელოზის ლეგიონის კაპიტანი“ (Căpitanul). 1930 წელს მოძრაობის გასამხედროებულ შტოს ეწოდა „რკინის გვარდია“ (Garda de Fier), რომელმაც საბოლოოდ თავისი სახელი დაარქვა მთელ მოძრაობას. 1930-იან წლებში მოძრაობა გარდაიქმნა პოლიტიკურ პარტიად, რომელმაც ადგილები მოიპოვა პარლამენტში.

„ლეგიონმა“ მოიცვა მოქმედი სამოქალაქო რელიგიის ელემენტები. მისი „ლეგიონად“ თვითაღქმა მითითება იყო დაკიაში რომაულ ლეგიონებზე და ამით ადასტურებდა „დაკიურ-რომაული რუმინული თემის“ თეორიას. მთავარანგელოზ მიქაელზე მინიშნება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მტკიცე ერთგულებაზე მიუთითებდა. მართლაც, „ლეგიონის“ მთავარ მიზნებს შორის იყო რუმინული ნაციონალიზმისა და რელიგიის პოპულარიზაცია. მის პროგრამაში ნათქვამია, რომ ეს იყო „წესრიგსა და დისციპლინაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს წმინდა ნაციონალიზმი, რომელიც, თავის მხრივ, იცავს ეკლესიის სამსხვერპლოებს, რომელთა დაშლაც მის მტრებს სურთ“.[19] მირჩა ელიადე (1907–1986), ჩიკაგოს უნივერსიტეტის რელიგიის ცნობილი მეცნიერი, ახალგაზრდობაში მხარს უჭერდა „ლეგიონს“ და მისი იდეოლოგიის უკომპრომისო მიმდევარი იყო. შემდგომ მან მიუთითა მოძრაობის რელიგიურ დღის წესრიგზე:

> ლეგიონერთა მოძრაობას სულიერი და ქრისტიანული მნიშვნელობა აქვს. თუ ყველა თანამედროვე რევოლუციის მიზანია სოციალური კლასის ან ადამიანის მიერ ძალაუფლების მოხვეჭა, ლეგიონერული მიდგომა, პირიქით, მიზნად ისახავს ერის უზენაეს გამოსყიდვას, რუმინელი ერის ღმერთთან შერიგებას, როგორც კაპიტანმა [კორდეანუმ] თქვა. ამიტომ, ლეგიონერულ მოძრაობას განსხვავებული

[17] იხ. Romocea, *Church and State*, 77.

[18] იხ. Lucian N. Leustean, *Orthodoxy and the Cold War* (New York: Palgrave Macmillan, 2009).

[19] Romocea, *Church and State*, 136.

> მნიშვნელობა აქვს ყველაფერთან დაკავშირებით, რაც აქამდე გაკეთდა ისტორიაში; და ლეგიონის გამარჯვება გამოიწვევს არა მხოლოდ ჩვენი ერის, შრომისმოყვარე რუმინეთის, ღირსეულისა და ძლიერის, ღირსების აღდგენას, არამედ ისეთი ადამიანის დაბადებას, რომელიც ჰარმონიაშია ევროპული ცხოვრების ახალ სახეობასთან.[20]

„ლეგიონერები“, რომლებმაც პირობა დადეს, რომ მხარს დაუჭერდნენ ეკლესიას, ასევე ელოდნენ მხარდაჭერას „ლეგიონისადმი“ ეკლესიის მხრიდანაც. ეკლესიამ გაამართლა მათი მოლოდინი. როგორც რუმინელი მღვდელი, მამა ილია იმბრესკუ (1909–1949) წერდა თავის წიგნში, „ეკლესია და ლეგიონერთა მოძრაობა“, 1940 წელს, „ნამდვილი მღვდელი ლეგიონერია საგანთა ბუნებით, ისევე როგორც ლეგიონერია თავის მხრივ და ბუნებითაც ეკლესიის საუკეთესო შვილი“.[21] ეკლესია შეერწყა „ლეგიონს“. მაგალითად, 1937 წლის არჩევნების შემდეგ, პარლამენტში „რკინის გვარდიის“ პარტიის 103 წარმომადგენლიდან 33 მართლმადიდებელი მღვდელი იყო. „ლეგიონი“ განსაკუთრებით პოპულარული იყო რუმინელ სამღვდელოებასა და ერისკაცთა შორის. ამავე დროს, ეპისკოპოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო მისი პროგრამითა და საქმიანობით, რადგან მას ეკლესიაში თავიანთი ავტორიტეტისათვის გამოწვევად მიიჩნევდნენ. მაგალითად, პირველი რუმინელი პატრიარქი მირონ კრისტეა (1868–1939) ცდილობდა შეეზღუდა გვარდიის გავლენა ეკლესიაზე. მისი გვარდიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა განსაკუთრებით წარმატებული იყო, როდესაც 1938 წლის თებერვალში ის რუმინეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა მეფე კაროლ II-ემ. კაროლს ახალი დათხოვილი ჰყავდა არჩეული პარლამენტი და მთავრობა და დიქტატურა დაამყარა. პატრიარქმა მირონმა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დათანხმებით, ხელი შეუწყო მეფის დიქტატურის ლეგიტიმურობის გაზრდას.

კაროლის დიქტატურა დიდხანს არ გაგრძელებულა და ის მალე სხვა დიქტატურამ ჩაანაცვლა. ეს „ლეგიონის“ და გენერალ იონე ანტონესკუს (1882-1946) ალიანსის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ერთმანეთთან თანამშრომლობით მათ შექმნეს სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა „ეროვნული ლეგიონური სახელმწიფო“ (Statul Național Leginar, 1940 წლის 6 სექტემბრიდან 1941 წლის 23 იანვრამდე). ეს იყო ერთპარტიული სახელმწიფო, რომლის ერთადერთი კანონიერი პოლიტიკური პარტია იყო „ლეგიონი“. ანტონესკუს მიენიჭა „ლეგიონის“ საპატიო ხელმძღვანელობა, მაშინ როდესაც „ლეგიონის“ ლიდერი, ჰორია სიმა (1906-1993) მთავრობის ვიცე-პრემიერი გახდა. თუმცა მალე „ლეგიონი“ და ანტონესკუ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც ანტონესკუს გამარჯვებით დასრულდა. კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაცისტურმა გერმანიამ. მისი ზოგიერთი ლიდერი, როგორიცაა მაგალითად, იოზეფ გებელსი, მხარს უჭერდა „ლეგიონს“. თუმცა ჰიტლერმა ანტონესკუს მეტი დახმარება გაუწია. ამავე დროს, მან ჰორია სიმას პოლიტიკური თავშესაფარი მისცა მას შემდეგ, რაც მას რუმინეთის დიქტატორმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

რუმინეთის ეკლესიამ გამარჯვების შემდეგ ენთუზიაზმით დაუჭირა

---

[20] Mircea Eliade, *Buna Vestire* [Good News], January 14, 1938, ციტირებულია Radu Ioanid, “The Sacralised Politics of the Romanian Iron Guard”, in *Fascism, Totalitarianism and Political Religion*, ed. Roger Griffin (London: Routledge, 2005), 143.

[21] Ilie Imbrescu, *Biserica și Mișcarea Legionară* [ეკლესია და ლეგიონერული მოძრაობა] (Bucharest: Cartea Românească, 1940), 201.

მხარი ანტონესკუს. პატრიარქი ნიკოდიმ მუნტეანუ (1864–1948), რომელმაც ცოტა ხნის წინ მეფე კაროლ II რომის იმპერატორ კონსტანტინეს შეადარა, ახლა კაროლის მტრის, ანტონესკუს გულმხურვალე მხარდამჭერი გახდა. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ნიკოდიმი სახასიათოდ ამბობდა: „ღმერთმა აჩვენა ჩვენი ქვეყნის ლიდერს [ანტონესკუს] გზა გერმანელ ერთან წმინდა და გამომსყიდველი კავშირისაკენ და გაერთიანებული ჯარები საღვთო ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაგზავნა დამანგრეველი ბოლშევიზმის წინააღმდეგ“.[22]

არა მხოლოდ ნიკოდიმი, არამედ რუმინეთის ულტრამემარჯვენე და პროეკლესიური პოლიტიკური ჯგუფები და მოღვაწეებიც გამოხატავდნენ ნაციზმისადმი სიმპათიას მეორე მსოფლიო ომამდე და მის დროსაც. ბევრმა მათგანმა ფაშისტური იდეოლოგიის საკუთარი ვერსია შეიმუშავა. რადუ იოანიდმა რუმინული ფაშიზმის შემდეგი ნიშნები დაასახელა, როგორც საერთო ყველა ჯგუფისთვის: „ნაციონალიზმი, ანტისემიტიზმი და რასიზმი, უმაღლესი ლიდერის და საკუთარი ელიტის კულტი, მისტიკა, სოციალური დივერსია და ბოლოს ანტიკომუნიზმი“.[23]

განსხვავება რუმინულ ფაშიზმსა და მის გერმანელ ან იტალიელ კოლეგებს შორის ოფიციალური ეკლესიისადმი ძლიერ მხარდაჭერაში მდგომარეობდა. კრისტიან რომოჩეას თქმით, „რკინის გვარდია ერთადერთი ევროპული ფაშისტური მოძრაობა გახდა, რომლის ბირთვი რელიგია იყო“.[24] რუმინული ფაშიზმი ასევე ყველაზე მეტაფიზიკური მოძრაობა იყო მის თანამედროვეთა შორის. ლეგიონერმა ჟურნალისტმა ი.პ. პრუნდენიმ 1937 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი სახელწოდებით, „ღმერთი ფაშისტია“ (*Dum- nezu e fascist*).[25] რუმინელი ფაშისტების მიდგომა თავიანთი ერისადმი ნაცისტურ მიდგომას წააგავდა არიული რასის მიმართ.[26] რუმინელები წინასწარ ხედავდნენ ევგენიკის მიერ გამოყვანილ წმინდა რუმინულ რასას. გამოჩენილმა რუმინელმა ევგენიკოსმა, რასის მეცნიერმა და „ლეგიონის“ იდეოლოგმა, ტრაიან ჰერსენმა (1907–1980 წწ.) ამასთან დაკავშირებით აღნიშნა:

> რუმინელი ხალხის რასობრივი განწმენდა სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხია. ამ პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა არსებობს. დასაწყისისთვის, ზუსტად უნდა განისაზღვროს რასობრივი მახასიათებლები, რომლისთვისაც რუმინელი ხალხი ვალშია დღევანდელ ქმნილებებთან და ისტორიული აყვავების პერიოდებთან, ასევე მორალურ და პოლიტიკურ მარცხებთან, დეკადანსისა და ისტორიული სირცხვილის პერიოდებთან. უნდა ვიბრძოლოთ ყველაფრის წინააღმდეგ, რაც უცხოა ჩვენი ერისთვის და ყველა მავნე გავლენის წინააღმდეგ, სანაცვლოდ კი წავახალისოთ ყველაფერი, რაც ავთენტურად რუმინულია.[27]

ამრიგად, თავდაპირველი რომანტიკული ნაციონალიზმი, რომელიც რუმინეთის სამოქალაქო რელიგიის მახასიათებელი იყო მეცხრამეტე საუკუნეში, 1930-იან წლებში ერთგვარ რასიზმში გადაიზარდა, რომელმაც სხვა ერები რუმინელებზე დაბლა დააყენა. რუმინეთში ერების იერარქიის სათავეში იყო დაკიური იდენტობა. მას რომაული თუ ლათინური იდენტობებიც კი

---

[22] Romocea, *Church and State*, 135.

[23] Ioanid, “Sacralised Politics”, 125.

[24] Romocea, *Church and State,* 134.

[25] I. P. Prundeni, “Dumnezu e fascist” [God is Fascist], *Porunca Vremii*, July 20, 1937.

[26] იხ. Vladimir Solonari, *Purifying the Nation: Population Exchange and Ethnic Cleansing in Nazi-Allied Romania* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 2010).

[27] Traian Herseni, “Rasa si destin national” [რასა და ეროვნული ბედისწერა], *Cuvintul*, January 16, 1941.

ჩამოუვარდებოდა. რუმინელების ქვემოთ სხვა ერები იყვნენ, მართლმადიდებლებიც კი, მაგალითად, ბერძნები ან უკრაინელები. ებრაელები ამ იერარქიის სულ ბოლოში იყვნენ.

3. რუსეთის მაგალითი

რუსული სამოქალაქო და პოლიტიკური რელიგია წინა ორი შემთხვევისგან განსხვავდება. ბალკანური გამეორებებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო პარტიკულარისტული იყო და ორიენტირებული იყო ერის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე, რუსული ვერსია უფრო უნივერსალისტურია და ორიენტირებულია *იმპერიის* შენარჩუნებაზე. რუსული სამოქალაქო და პოლიტიკური რელიგიები, შესაბამისად, იმპერიული და იმპერიალისტურია.

ეს რელიგიები სამ ეტაპად განვითარდა. პირველი იყო ცარისტული; მეორე - საბჭოთა; და მესამე - პოსტსაბჭოთა. ეს ფაზები დიალექტიკური პროცესის სახით განვითარდა: ცარისტულმა ფაზამ დაადგინა თეზისი, საბჭოთა ფაზა იყო მისი ანტითეზა, ხოლო ბოლო ფაზამ გააერთიანა ელემენტები ორივე წინა ფაზიდან. მიუხედავად იმისა, რომ სხვა შემთხვევებში შედარებით ადვილია სამოქალაქო და პოლიტიკურ რელიგიებს შორის გამიჯვნის მკაფიო ხაზის გავლება, რუსეთის შემთხვევაში ამის გაკეთება გაცილებით რთულია. რუსეთში სამოქალაქო რელიგიები ყოველთვის გამოხატავდნენ ძალადობრივი პოლიტიკური რელიგიის ელემენტებს და პირიქით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსული სამოქალაქო/პოლიტიკური რელიგია ყოველთვის ძალადობრივი იყო - ხან მეტად და ხან ნაკლებად.

ამ რელიგიის ფესვები უბრუნდება ადრეულ თანამედროვეობას, რომელშიც არქაული რუსული საზოგადოება ძალისმიერად იყო ინიცირებული პეტრე I რომანოვის („დიდის“) მიერ (1672-1725). ის იყო ამ რელიგიის არქიტექტორი, რომელიც მან ძალადობრივად დააკისრა თავის ქვეშევრდომებს და რუსულ ეკლესიას. ეკლესია ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ საბოლოოდ დაემორჩილა მეფის ნებას და მხარი დაუჭირა მის რელიგიას.

ამ რელიგიის ერთ-ერთი ადრეული გამოვლინება იყო ანათემა უკრაინელი ჰეტმანის, ივან მაზეპას (1639–1709) წინააღმდეგ. მაზეპა, როგორც უკრაინელების ნახევრად ავტონომიური მმართველი, პეტრეს მოკავშირე იყო ჩრდილოეთის დიდ ომში (1700–1721), სადაც რუსეთი პოლონეთისა და შვედეთის წინააღმდეგ იბრძოდა. უკრაინელი ჰეტმანი უკმაყოფილო იყო პეტრეს ძალაუფლების ცენტრალიზებით, რაც საფრთხეს უქმნიდა უკრაინელების პერეიასლავის ხელშეკრულებით (1654) დაცულ ავტონომიას. შედეგად, მან გადაწყვიტა მხარი ეცვალა ომში და შვედეთის მეფეს, ჩარლზ XII-ს (1682–1718) შეუერთდა.

მაზეპას გადაწყვეტილებამ პეტრე გააბრაზა. მაზეპას ქმედებების გამო შურისძიების მიზნით, რომელიც მან ღალატად მიიჩნია, პეტრემ გაძარცვა უკრაინის ავტონომიის დედაქალაქი ბატურინი, ამოჟლიტა იქ დაბანაკებული კაზაკთა გარნიზონი და მისი მრავალი სამოქალაქო მკვიდრი. მან ბრძანა დაღუპული კაზაკების ცხედრები ჯვრებზე დაემაგრებინათ და მდინარე დნეპრში გაეშვათ. ეს იყო სიმბოლური აქტი, რომელიც მიზნად ისახავდა მაზეპას გაქცევის

იმიტაციას იმავე მდინარით მოლდოვაში. პეტრემ კიდევ ერთი სიმბოლური საქციელი ჩაიდინა და ეკლესიის იერარქებს უბრძანა მაზეპა ანათემაზე გადაეცათ. თავდაპირველად უკრაინელი ეპისკოპოსების მიერ შედგენილი ანათემა მოგვიანებით რუსმა იერარქებმაც დაადასტურეს. მაზეპას სახელი შედიოდა იმ მოღალატეთა სიაში, რომლებსაც მართლმადიდებლობის დღესასწაულზე საჯაროდ გადასცემდნენ ანათემას რუსეთის ყველა ეკლესიაში. „რუსეთის ისტორია“ აღწერს თავდაპირველ ანათემას:

> ყველა კუთხიდან ჩამოყვანილი მღვდლები და ბერები შავი ფერის სამოსით იყვნენ შემოსილნი და ხელში გამურული გრძელი სანთლები ეჭირათ. საგალობლების გალობისას ისინი მაზეპას ფიგურულ გამოსახულებას გარს შემოეხვივნენ. მაშინ, როცა მისკენ შავ სანთლებს მიაპყრობდნენ, დიაკვნებთან და მნათეებთან ერთად შესძახებდნენ: „დაწყევლილი იყოს მაზეპა“. მაშინ ეპისკოპოსმა ჯოხი დაარტყა გამოსახულების მკერდს და შესძახა: „განდგომილსა და მოღალატეს მაზეპას - ანათემა“. შემდეგ ფიგურა გამოათრიეს ეკლესიიდან, რომელსაც გამოჰყვნენ სასულიერო პირები სიმღერით: „ახლა იუდა სტოვებს მოწაფეს და იღებს ეშმაკს“.[28]

ის, რაც „შავ მესას“ ჰგავდა, ფაქტობრივად ახალი იძულებითი პოლიტიკური რელიგიის რიტუალი იყო. პეტრემ ეკლესია აიძულა, რომ მასში მონაწილეობა მიეღო. მალე იძულება გამოიყენეს თვით ეკლესიის მიმართაც. იმავე წელს (1721), როდესაც პეტრემ თავი „იმპერატორად“ გამოაცხადა, მან მოახდინა რუსული ეკლესიის რეორგანიზაცია საკუთარი პრეფერენციების მიხედვით. ცარმა გამოაქვეყნა „სულიერი წესდება“, რომელმაც საპატრიარქო მსახურება „უწმიდესი მმართველი სინოდით“ ჩაანაცვლა. ამ ჩანაცვლებამ რუსული ეკლესია რეპრესიული სახელმწიფო მანქანის ნაწილად გადააქცია სახელმწიფოს პარტნიორისგან, რომელიც ზოგჯერ ისეთივე ძლიერი იყო, როგორც თავად სახელმწიფო, როგორც, მაგალითად, პატრიარქ ნიკონის (1605–1658) დროს. ეკლესიის ხელმძღვანელობა, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა სინოდის „ობერპროკურორის“ ოფისის მეშვეობით, ფაქტობრივად სახელმწიფო ბიუროკრატიის ნაწილი გახდა. სხვა ახლად შექმნილ სამინისტროებთან ერთად, სინოდს იმპერატორის პოლიტიკური ნების განხორციელება ელოდა. ეკლესია ამგვარად დაექვემდებარა სახელმწიფოს და ფორმალური პოლიტიკური როლი მოიპოვა. ამ პოლიტიკური როლის მიზნებს შორის იყო იმპერიული ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკური მოქმედებების ლეგიტიმაცია.

რუსული პოლიტიკური რელიგია ცარის მოფიქრებული იყო, მაგრამ გადმოცემული იყო ეკლესიის მოღვაწეების მიერ, როგორიცაა ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსი ფეოფან პროკოპოვიჩი (1681–1736), რომელმაც დაწერა „სულიერი წესდება“. ფეოფანი იყო რუსეთის იმპერიაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი მექანიზმის შემქმნელი, რომელიც ეკლესიაზე მთელ ძალაუფლებას სახელმწიფოს მეთაურს აძლევდა. მისი იძულებითი ფორმით, ეს რელიგია გაგრძელდა თითქმის მთელი მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში, რომელმაც იხილა საეკლესიო მიწების იძულებითი სეკულარიზაცია და დევნა იმ იერარქების წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ეკლესიის მიმართ იმპერიულ პოლიტიკას, მაგალითად,

---

[28] George Konisky, *Istoriya Rusov ili Maloy Rosii. Sochineniye Georgiya Koniskago, Arkhiepiskopa Beloruskago* [რუსეთისა ან მცირე რუსეთის ისტორია. *ბელარუსის ეპისკოპოსის, გიორგი კონისკის ნაშრომი*] (Moscow: University Press, 1846), 212.

როსტოვის მიტროპოლიტი არსენი მაცეევიჩი (1697–1772) და ტობოლისკის მიტროპოლიტი პაველ კონიუსკევიჩი (1705–1770).

რუსეთის იმპერიის პოლიტიკური რელიგია ნაკლებად იძულებითი და უფრო ცივილიზებული გახდა XIX საუკუნის დასაწყისში, ალექსანდრე I-ის (მეფობდა 1801–1825) მეფობის დროს. მისი მეფობა იყო რუსეთში სამოქალაქო რელიგიის გაჩენის პერიოდი, რომელიც, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, გაჩნდა არა პოლიტიკურ რელიგიამდე, არამედ მის შემდეგ. რუსული სამოქალაქო რელიგია ნაპოლეონთან რუსეთის ომიდან – 1812 წლის ეგრეთ წოდებული „პატრიოტული ომიდან“ წარმოიშვა. ლევ ტოლსტოიმ (1828-1910), თავის რომანში, „ომი და მშვიდობა“, აღბეჭდა მისი აღმოცენების მომენტი და დაადგინა მისი მახასიათებლები: პატრიოტიზმი, მონარქიზმი და რუსული წარსულის ტრადიციებისა და რელიგიისადმი ერთგულება. ქრისტეს მაცხოვრის საკათედრო ტაძარი მოსკოვში, რომელიც ნაპოლეონის ომებში რუსეთის გამარჯვებებისა და დანაკარგების აღსანიშნავად აშენდა, სამოქალაქო რელიგიის ეროვნული სალოცავი გახდა. კონსერვატიულად განწყობილი ნიკოლოზ I-ის (მეფობდა 1825-1855) დროს, რუსეთის სამოქალაქო რელიგიამ დაიწყო რუსეთის იმპერიის სამი „ჰიპოსტასის“ თაყვანისცემა: მართლმადიდებლობა-თვითმპყრობელობა-ხალხურობა (Православие-самодержавие-народность). ეს ტრინიტარული ფორმულა, რომელიც რუსმა ჩინოვნიკმა სერგეი უვაროვმა (1786–1855) შეიმუშავა, რუსული სამოქალაქო რელიგიის კრედო გახდა. მის მიერ სამებაზე მინიშნება ბერძნულ სამოქალაქო რელიგიის ფორმულას წააგავდა, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში ჩამოაყალიბა კონსტანტინოს პაპარრიგოპულოსმა.

იდეები, რომლებიც კვებავდა რუსეთის სამოქალაქო რელიგიას, შემდგომ სლავოფილური მოძრაობის ფარგლებში განვითარდა. ამ მოძრაობას სჯეროდა რუსი ხალხის უნიკალური ისტორიული ბედისა და თვითმყოფადობის (самобытность). სლავოფილები შთაგონებულნი იყვნენ რომანტიზმით, რომელიც მოდური იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და ბევრი იდეა ისესხეს გერმანული იდეალისტური ფილოსოფიიდან. ეს მოძრაობა დააარსეს ალექსეი ხომიაკოვმა (1804–1860), ივან კირეევსკიმ (1806–1856), ძმებმა კონსტანტინე (1817–1860) და ივან აქსაკოვებმა (1823–1886) და იური სამარინმა (1819–1876). რუსული სამოქალაქო რელიგიის ყველაზე გამჭრიახი წინასწარმეტყველი იყო ფიოდორ დოსტოევსკი (1821–1881). მისი რომანის, „ეშმაკნის“ (1872) ერთ-ერთი პერსონაჟია ივან შატოვი, ყოფილი ათეისტი, რომელიც სამოქალაქო რელიგიას იღებს. შატოვი ეფექტიანად გამოხატავს ამ რელიგიის სარწმუნოებას: „მე მჯერა რუსეთის. მე მჯერა ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის. მე – მე მჯერა ქრისტეს სხეულის – მე მჯერა, რომ მეორედ მოსვლა მოხდება რუსეთში. როდესაც დამაკონკრეტებელი შეკითხვა დაუსვეს — „მაგრამ ღმერთში? ღმერთში?“ - შატოვმა უპასუხა: „მე მწამს ღმერთი“.[29] როგორც შატოვი ამტკიცებს, რუსული სამოქალაქო რელიგია მოითხოვდა რუსეთის ისტორიული მისიის რწმენას, მაგრამ არა აუცილებლად ღმერთის რწმენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული სამოქალაქო რელიგია არასოდეს ყოფილა იძულებისგან თავისუფალი და, შესაბამისად, არც მთლად სამოქალაქო. რუსეთის სახელმწიფომ აღასრულა კრედო „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და

[29] Fyodor Dostoyevsky, *The Devils*, trans. David Magarshack (New York: Pen- guin, 1971), 259.

ხალხურობა“ და ისინი, ვინც სხვაგვარად ფიქრობდნენ, იდევნებოდნენ. დოსტოევსკი ადრეულ წლებში განსხვავებულად ფიქრობდა. ის მონაწილეობდა ანტისამთავრობო პოლიტიკურ საქმიანობაში და სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი. თუმცა სიკვდილით დასჯა ბოლო მომენტში შეუცვალეს ციმბირში გადასახლებით, სადაც მან ოთხი წელი გაატარა. სიკვდილის და შემდეგ სიცოცხლისკენ მობრუნების ამ გამოცდილებამ რადიკალურად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა. ის რელიგიური და პატრიოტი გახდა და მსხვერპლიდან სამოქალაქო რელიგიის დამცველად გადაიქცა. მან ეს უფრო დეტალურად ჩამოაყალიბა თავის დღიურებში და სხვა საჯარო ნაწერებში. კერძოდ, დოსტოევსკი წერდა „რუს ქრისტესა“ და „რუს ღმერთზე“,[30] რომელიც რუსული სამოქალაქო რელიგიის მთავარი „ღვთაება“ გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ დოსტოევსკი რუსეთის სამოქალაქო რელიგიას არაძალადობრივად მიიჩნევდა, ვერ აკონტროლებდა საკუთარ რელიგიურ აღმსარებლობას. რელიგია მალევე დაუბრუნდა თავის ადრინდელ იძულებით ფორმებს. რელიგიის იძულებითი ხასიათი განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოგრომებით, რომლებიც გავრცელდა მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის რევოლუციის გარიჟრაჟზე. პოგრომები რუსული იმპერიული პოლიტიკური რელიგიის რიტუალები იყო. გრიგოლ რასპუტინი (1869-1916) – „ბერი“, რომელმაც შეუზღუდავი გავლენა მოახდინა რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ II რომანოვის (1868-1918, მეფობდა 1894-1917) ოჯახზე - ამ იმპერიული რელიგიის ხატება გახდა.

იმპერიული პოლიტიკური რელიგია დაცული იყო რუსეთის პირველ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, როდესაც მონარქია შეიცვალა ხანმოკლე რესპუბლიკური დემოკრატიით, რომელიც, თავის მხრივ, შეიცვალა დიქტატურით 1917 წლის ოქტომბერში, როდესაც ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. თებერვლიდან ოქტომბრამდე რუსეთში ოფიციალურ სამოქალაქო ან პოლიტიკურ რელიგიას არ უარსებია. ამ პერიოდმა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას აღორძინების უპრეცედენტო შესაძლებლობები გაუხსნა პოლიტიკური დღის წესრიგის გარეშე. ეკლესიამ აღადგინა პეტრე I-ის მიერ გაუქმებული პატრიარქის მსახურება და მოიწვია თავისი დიდი კრება, რომელსაც ნიკოლოზ II აფერხებდა.

ამ საბჭომ მიიღო „აჯორნამენტო“ პროგრამა, რომელიც შეჩერებული იყო რუსული პოლიტიკური რელიგიის ახალი რედაქციის დაბრუნებით. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, რუსეთის სახელმწიფომ მხარი დაუჭირა უკიდურესად ძალადობრივ პოლიტიკურ რელიგიას. ათეიზმი ფაქტობრივად იქცა საბჭოთა სახელმწიფოს დამკვიდრებულ რელიგიად. ამ რელიგიას ჰქონდა თავისი რიტუალები და დოგმები. მისი მოსე და აარონი იყვნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ხოლო მისი მესია იყო ვლადიმერ ლენინი, რომლის ‘წმინდა ნაწილებს’ თაყვანს სცემდნენ მავზოლეუმში და რომლის ხატები ინახებოდა ყველა სახლსა და ოფისში. მარქსიზმ-ლენინიზმი შეადგენდა მის მართლმადიდებლობას, ხოლო ტროცკიზმი, მაოიზმი, ტიტოიზმი და მისთანები მწვალებლობებად მოიაზრებოდნენ. კომუნისტურმა პარტიამ, როგორც

[30] ა.ნ. მაიკოვის 1868 წლის 11 (23) დეკემბრის წერილიდან, იხ. F. M. Dostoevsky, *Sobraniye sochineniy v 15 tomakh* [ნაწარმოებთა კრებული 15 ტომად] (St. Petersburg: Nauka, 1996), 15:390.

მაგისტერიუმმა გადაწყვიტა, რა იყო მართლმადიდებლობა და რა ერესი. პარტია მოძღვრებას თავის მსოფლიო კრებებზე - კონგრესებზე განმარტავდა.

საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი ძირფესვიანად იძულებითი იყო. მისმა იძულებითმა ბუნებამ პიკს მიაღწია იოსებ სტალინის საბჭოთა ლიდერობის დროს (1929 წლიდან 1953 წლამდე). სტალინმა ძალადობისა და მკვლელობის გიგანტური ინფრასტრუქტურა შექმნა. ჰოლოდომორი – მასობრივი შიმშილი 1930-იანი წლების დასაწყისში – და გულაგი – საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა, სადაც ადამიანების უმეტესობა 1930-იანი წლების ბოლოს დაიღუპა – ამ იძულებითი რელიგიის სიმბოლო გახდა. მეოცე საუკუნის დემოციდების შემსწავლელი მეცნიერი რუდოლფ რუმელი მიიჩნევს, რომ სტალინმა დაახლოებით 62 მილიონი თანამოქალაქე მოკლა.[31]

1990-იანი წლების დასაწყისში კომუნიზმის დაშლის შემდეგ, სახელმწიფომ მიატოვა სამოქალაქო და პოლიტიკური რელიგიის ყველა ფორმა - ისევე როგორც 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი პერიოდი. ეკლესია გათავისუფლდა დევნისა და ჩაგვრისაგან. რუსეთში სულიერი აღორძინების ძლიერი იმპულსი იყო. თუმცა ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე მართლმადიდებლური რენესანსი პოლიტიკური მართლმადიდებლობის რენესანსში გადაიზარდა, როგორც „პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგია“.[32]

ეს რელიგია დაიწყო არა სახელმწიფოში, არამედ ეკლესიაში. იმ საჯარო სივრცის ხელახლა დასაკავებლად, საიდანაც იგი საბჭოთა პერიოდში განდევნეს და პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში მისი მისიის გასაადვილებლად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობდა შეევსო კომუნისტური პროპაგანდის მიერ დატოვებული სიცარიელე. მისი თავდაპირველი განზრახვა იყო კომუნისტური იდეოლოგიის ქრისტიანობით ჩანაცვლება. თუმცა, სინამდვილეში, ქრისტიანობის საფარქვეშ ახალმა იდეოლოგიამ ჩაანაცვლა ძველი კომუნისტური მოძღვრება.

პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგია ეკლექტიკურია და მოიცავს წინასაბჭოთა და საბჭოთა პერიოდის ელემენტებს. პირველიდან მან ისესხა რუსი ხალხის თვითმყოფადობის (самобытность) იდეა და ისეთი მოღვაწეები, როგორიცაა მეფე ნიკოლოზ II. ამ უკანასკნელისგან მან მიიღო „კომუნიზმის აღმაშენებლის მორალურ კოდექსში“ ჩადებული ეთიკური ღირებულებები. პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგიის ეკლექტიკური ხასიათი საუკეთესოდ ვლინდება სამამულო ომის კულტში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1812 წლის სამამულო ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ იყო საბჭოთა სამოქალაქო რელიგიის დამფუძნებელი მოვლენა. საბჭოთა ეპოქაში, ის ჰიტლერის წინააღმდეგ 1941–1945 წლების დიდმა სამამულო ომმა ჩაანაცვლა. ლეონიდ ბრეჟნევმა (საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერი 1964 წლიდან 1982 წლამდე) მას უწოდა „წმინდა ომი“ და საბჭოთა სამოქალაქო რელიგიის ბირთვად აქცია. პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგიაში ორივე პატრიოტული ომი ერწყმოდა დასავლეთის წინააღმდეგ გამარჯვების ერთ კულტს, რომელიც ფართოდ აღინიშნა რელიგიური სწრაფვით.

---

[31] Rudolph Joseph Rummel, *Death by Government* (New Brunswick: Transaction, 2008), 79.

[32] Sergey Chapnin first identified this phenomenon in *Tserkov' v postsovietskoy Rossii. Vozrozhdeniye, kachestvo very, dialog s obschestvom* [ეკლესია პოსტსაბჭოთა რუსეთში: აღორძინება, რწმენის ხარისხი, საზოგადოებასთან დიალოგი] (Moscow: Arefa, 2013).

რუსეთში ახალი სამოქალაქო რელიგიის რწმენის მუხლები ასახულია ეგრეთ წოდებული „რუსეთის მსოფლიო სახალხო საბჭოს“ (Всемирный русский народный собор) პლატფორმაზე. ეს საბჭო ასევე ასახავს პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგიის ეკლექტიკურ ხასიათს. ერთი მხრივ, ეს ეხება ალექსეი ხომიაკოვის მიერ გამოთქმულ „კრებითობის“ (соборность) იდეას და, შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს წინასაბჭოთა სამოქალაქო რელიგიის გაგრძელებად. მეორე მხრივ, იგი წააგავს საბჭოთა პერიოდში კომუნისტური პარტიის კონგრესებს – საბჭოთა პოლიტიკური რელიგიის მთავარ ფორუმს.

თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა თავდაპირველად ყოყმანობდა, გამოეყენებინა თუ არა პოსტსაბჭოთა სამოქალაქო რელიგიის რიტორიკა და დოგმები, რომლებიც რუსეთის ეკლესიის შიგნით და რუსული საზოგადოების კიდეებზე განვითარდა. თუმცა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მესამე ვადის განმავლობაში (2012–2018), ვლადიმერ პუტინმა საბოლოოდ მიიღო ისინი, როგორც რუსული სახელმწიფოს ახალი იდეოლოგია.

სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის შემდეგ სამოქალაქო რელიგია პოლიტიკურ რელიგიად იქცა. გარდამტეხი მომენტი იყო 2012 წლის თებერვალში პანკ-ჯგუფ „პუსი რაიოტის“ სასამართლო პროცესი მოსკოვის მართლმადიდებლურ ტაძრებში მათ მიერ წარმოდგენილი პერფორმანსის გამო. პერფორმანსმა სახელწოდებით „ღვთისმშობელო, განდევნე პუტინი“ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წამოიწყო სამართლებრივი დევნა ჯგუფის წევრების მიმართ, რომლებსაც საბოლოოდ ორი წელი მიუსაჯეს გისოსებს მიღმა. ამ ეპიზოდის შემდეგ, იძულებითი პოსტსაბჭოთა პოლიტიკური რელიგია სწრაფად განვითარდა.

ამ რელიგიამ თავის პანთეონში გადაადგილებები გამოიწვია. უფრო რბილი სამოქალაქო წმინდანები, როგორიცაა მეფე ნიკოლოზ II, ჩანაცვლდა უფრო ხისტებით, როგორიცაა იოსებ სტალინი და მეფე ივანე მრისხანე (1530–1584). ალექსანდრ დუგინი (დაიბადა 1962 წელს), რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული წევრი, ამ რელიგიის მთავარი იდეოლოგია. მისი მოძღვრება „ევრაზიელობის“ შესახებ ითვალისწინებს თვითმყოფად (самобытная) ევრაზიულ ცივილიზაციას, რომელიც განსხვავდება ლიბერალური დასავლური ცივილიზაციისგან. დუგინი ამ ცივილიზაციის მოდელად ბიზანტიას ხედავს. ის ხსნის ბიზანტიას, როგორც რუსული ისტორიული მისიის მარადიულ პრინციპს, ანუ არქეს. ბიზანტია, დუგინისთვის, არა მხოლოდ წარსულს, არამედ რუსეთის აწმყოსა და მომავალს ეხება. დუგინი ქადაგებს ბიზანტიას, როგორც აბსოლუტურ ღირებულებას ღვთისა და ეკლესიის აბსოლუტურ ღირებულებასთან ერთად. დუგინისთვის ბიზანტია იესო ქრისტეს ჩილიასტური სამეფო იყო. ამ სამეფოში ეშმაკი შეკრული იყო, ხოლო მისი ეპიგონი, ანტიქრისტე, იმპერატორმა განარიდა, რომელსაც დუგინი ბიბლიურ „კატეხონად“ წარმოგვიდგენს (2 თეს. 2:6–7).[33] აღსანიშნავია, რომ კარლ შმიტი (1888–1985), მესამე რაიხის იდეოლოგი, ასევე მოიხსენიებდა „კატეხონს“.[34]

---

[33] “Aleksander Dugin: Vizantiya—nashe vechnoye nachalo” [ბიზანტია, ჩვენი მარადიული საწყისი], ვიდეო პორტალზე YouTube ატვირთულია Tsar’grad TV-ს მიერ, 2015 წლის 26 ნოემბერს 18:19, https://tinyurl.com/y99nzt8n.

[34] Carl Schmitt, *The Nomos of the Earth in the International Law of the Jus Publicum Europaeum*, trans. G. L. Ulmen (New York: Telos,

როგორც სხვა ტოტალიტარული იდეოლოგიების შემთხვევაში, რომლებიც მართლმადიდებლურ კონტექსტში წარმოიშვნენ, ბიზანტიაზე მითითებები უერთდება დუგინის მოწოდებას ძალადობისკენ. მართლაც, მან არაერთხელ მოუწოდა ძალადობის გამოყენებისკენ რუსული ცივილიზაციის ბიზანტიური მისიის აღსასრულებლად. ვიდეოგანცხადებაში მან მოუწოდა რუსებს, რომ „მოკლან, მოკლან და მოკლან“ უკრაინელები, რომლებმაც გაბედეს აჯანყება ნეოსაბჭოთა იმპერიის გეოპოლიტიკურ სფეროში შეყვანის წინააღმდეგ.[35] ამრიგად, ძალადობრივი პოსტსაბჭოთა პოლიტიკური რელიგია, რომელიც „პუსი რაიოტის“ ეპიზოდით დაიწყო, დასრულდა რუსეთის აგრესიით უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც მოჰყვა უკრაინის ღირსების რევოლუციას 2013-2014 წლების ზამთარში. რუსეთმა ეს ომი დაიწყო, რათა თავიდან აეცილებინა რუსეთში დემოკრატიზაციის პროცესის გავრცელება, რომელიც კიევის მაიდანზე კორუმპირებული და ძალადობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციებით დაიწყო. რუსულმა პროპაგანდამ, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთით შეჭრა, წარმოადგინა რუსული მართლმადიდებლური ცივილიზაციის წმინდა ომად, სავარაუდოდ, უღმერთო დასავლეთის წინააღმდეგ. ათასობით რუსი დაქირავებული მებრძოლი, ადგილობრივ თანამშრომლებთან ერთად, რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით და რუსული იარაღით აღჭურვილი, მობილიზებული იყო „რუსული სამყაროს“ დოქტრინით.

ამ დოქტრინის ფესვები მეცხრამეტე საუკუნეშია, როდესაც სლავოფილებმა განავითარეს პანსლავიზმი – მოძღვრება სლავური ერების ერთიანობის შესახებ რუსეთის ხელმძღვანელობით. იგი კვლავ გამოჩნდა რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მისი საწყისი ვერსია შედარებით მშვიდობიანი იყო. ის მიზნად ისახავდა რუსულენოვანი ხალხის რბილი ძალის ინსტრუმენტად კონსოლიდაციას რუსეთის ფარგლებს გარეთ. თუმცა, უკრაინული მაიდანის გამარჯვების შემდეგ იგი ომის მამოძრავებელ ძრავად გადაიქცა. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჯერ „რუსული სამყარო“ სამოქალაქო რელიგიად აქცია, მოგვიანებით კი წვლილი შეიტანა მის ძალადობრივ პოლიტიკურ რელიგიად ქცევაში. „რუსული სამყარო“ გახდა მოსკოვის პატრიარქის კირილეს პირადი პროექტი (2009 წლიდან) და ახალი ეტაპი რუსული სამოქალაქო/პოლიტიკური რელიგიების ევოლუციაში. მართლაც, ეკლესია, სახელმწიფოს მიერ წარმოებული სამოქალაქო/პოლიტიკური რელიგიების ადრინდელი საბჭოთა და წინასაბჭოთა ვერსიებისგან განსხვავებით, თავისი პოსტსაბჭოთა ვერსიის აგებაში ლიდერობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია რუსეთში სამოქალაქო/პოლიტიკური რელიგიების ადრინდელ ვერსიებში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, პოსტსაბჭოთა რუსეთში მისი როლი პირველადია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართლმადიდებელმა იერარქებმა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაადასტურეს მეფე პეტრეს პოლიტიკური რელიგია. ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მეფის სახელმწიფოს გვერდით

2006), 59–60. იხ. Julia Hell, “Katechon: Carl Schmitt’s Imperial Theology and the Ruins of the Future”, *The Germanic Review: Literature, Culture, Theory* 84, no. 4 (2009): 283–326.

35 “Aleksander Dugin: Ubivat’, ubivat’ ubivat’” [ალექსანდრ დუგინი: მოკვლა, მოკვლა და მოკვლა], ვიდეო YouTube პორტალზე ატვირთულია “Randy Mandy”-ს მიერ 2014 წლის 15 ივნისს 2:50, https://tinyurl.com/y7o2ncwj

იდგა და მან აკურთხა მისი სამოქალაქო რელიგიის გადაქცევა ძალადობრივ რელიგიად, დარბევის რელიგიად. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ რუსმა იერარქებმა თანამშრომლობა განაგრძეს მეოცე საუკუნის ყველა პოლიტიკურ რელიგიასთან რუსეთის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. იმის გამო, რომ ეს პოლიტიკური რელიგიები ანტაგონისტური იყო (ნაციზმი კომუნიზმის წინააღმდეგ), ასეთმა თანამშრომლობამ გამოიწვია განხეთქილება რუსეთის ეკლესიაში. ეკლესიის ნაწილმა, რომელიც ახლა ცნობილია როგორც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის გარეთ (ROCOR), არ მიიღო საბჭოთა რეჟიმი. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსული „თეთრი“ ემიგრაციის ბრძოლაში ბოლშევიკების წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ ნაციზმის დაშოშმინებას ისახავდა მიზნად, როგორც ეს ჩანს ადოლფ ჰიტლერისადმი მიტროპოლიტ ანასტასი გრიბანოვსკის (1873-1965) მისალოც წერილში:

> არა მხოლოდ გერმანელი ერი გიხსენიებს უზენაესის ტახტისადმი მხურვალე სიყვარულით და ერთგულებით: ყველა ერის საუკეთესო ხალხი, რომელიც გისურვებთ მშვიდობასა და სამართლიანობას, გხედავთ, როგორც ლიდერს მსოფლიო ბრძოლაში მშვიდობისა და ჭეშმარიტებისთვის. გერმანელი ხალხისა და გერმანიის იმპერიის სიდიადემ გაგხადათ თქვენ მიბაძვის ღირსი, სამაგალითო მოდელი და იმის მოდელი, თუ როგორ უნდა გიყვარდეთ საკუთარი ხალხი და საკუთარი ქვეყანა, როგორ უნდა შეინარჩუნოთ ეროვნული საგანძური და მარადიული ფასეულობები. ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენ და გერმანელი ხალხი მტრულ ძალებთან ბრძოლაში, რომლებიც სიკვდილს უსურვებენ ჩვენს ხალხს. დაე, მან მოგცეთ თქვენ, თქვენს ქვეყანას, თქვენს მთავრობას და ჯარს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და კეთილი მოსწრაფეობა მრავალი წლის განმავლობაში.[36]

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დროინდელ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მისი მხოლოდ ერთი ნაწილი არ მიეკუთვნებოდა არცერთ პოლიტიკურ რელიგიას, არც მეფისას და არც საბჭოთას. მოსკოვის პატრიარქმა ტიხონ ბელავინმა (1865–1925), რომელიც ეკლესიის ამ ფრაქციას ხელმძღვანელობდა, ყოველგვარი პოლიტიკური და სამოქალაქო რელიგიის გარეშე ცხოვრება არჩია. ეს არჩევანი ძვირად დაუჯდა და პატრიარქი ტიხონი დააპატიმრეს. ის გარდაიცვალა საბჭოთა რეჟიმის მიერ მასზე მოწეული გაჭირვების გამო. გულაგებში დაღუპულმა ბევრმა ეგრეთ წოდებულმა „ახალმოწამემაც“ იგივე არჩევანი გააკეთა.

თუმცა, ტიხონის მემკვიდრემ, სერგი სტრაგოროდსკიმ (1867–1944) სხვა არჩევანი გააკეთა. 1927 წელს მან ხელი მოაწერა დეკლარაციას ერთგულების შესახებ საბჭოთა რეჟიმისა და მისი ძალადობრივი პოლიტიკური რელიგიის მიმართ. დეკლარაციაში ნათქვამია:

> ჩვენ, ეკლესიის მეთაურები, არ ვართ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ერთად. . . არამედ ჩვენს ხალხთან და ჩვენს მთავრობასთან. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ არა სიტყვით, არამედ საქმით, რომ არა მხოლოდ მართლმადიდებლობის მიმართ გულგრილნი და არა მხოლოდ მისი რენეგატები შეიძლება იყვნენ საბჭოთა კავშირის ერთგული მოქალაქეები, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, არამედ მართლმადიდებლობის ყველაზე გულმოდგინე მიმდევრებიც. ჩვენ გვინდა ვიყოთ მართლმადიდებლები და ამავდროულად ვაღიაროთ საბჭოთა კავშირი ჩვენს

[36] გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემაში “*Tserkovnaya zhizn”* [საეკლესიო ცხოვრება] 5, no. 6 (1938): 96.

სამოქალაქო სამშობლოდ, რომლის სიხარული და წარმატებები ჩვენი სიხარული და წარმატებებია, ხოლო მისი წარუმატებლობა ჩვენი წარუმატებლობაა.[37]

ეს დოკუმენტი თავს დაესხა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის გარეთ, რომელიც, სავარაუდოდ, „საბჭოთა სახელმწიფოს მტრებს“ იცავდა და „მათი ინტრიგების გიჟურ ინსტრუმენტად“ იქცა. თუმცა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის რუსეთის გარეთ სწორედ „საბჭოთა ეკლესია“ გადაიქცა „მტრულ ძალად“, რაზეც საუბარი იყო ანასტასის წერილში ჰიტლერისადმი.

ეგრეთ წოდებული „რენოვაციონისტული“ (Обновленческая) ან „ცოცხალი“ (Живая) ეკლესია საბჭოთა რეჟიმთან კიდევ უფრო ახლო თანამშრომლობაში იყვნენ. ეს ეკლესია კომუნისტურმა რეჟიმმა დააწინაურა, როგორც ტიხონ ბელავინის მეთაურობით „პატრიარქალური“ ეკლესიის უფრო ლოიალური ალტერნატივა. 1922 წლიდან 1936 წლამდე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურებთან ერთად ვითარდებოდა „რენოვაციონისტული“ ეკლესია. იგი მოიცავდა კომუნისტური იდეოლოგიის ზოგიერთ ელემენტს. მაგალითად, მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, მამა ვლადიმერ კრასნიცკიმ (1881–1936) შესთავაზა, რომ ეკლესიას მიეღო ოქსიმორონული მოძღვრება „მატერიალისტური ქრისტიანობის შესახებ“.

ბევრი მღვდელი და ეპისკოპოსი, რომლებმაც მეოცე საუკუნეში თანამშრომლობა არჩიეს მჩაგვრელ პოლიტიკურ რელიგიებთან, ცარისტულ რეჟიმთან თანამშრომლობის მომხრენი იყვნენ. მაგალითად, რუსეთის გარეთ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამფუძნებელი ანტონი ხრაპოვიცკი და პირველი საბჭოთა პატრიარქი სერგი სტრაგოროდსკი, რომლებიც იდეოლოგიური განხეთქილების საპირისპირო მხარეებზე აღმოჩნდენ, 1917 წლამდე გულმოდგინე მონარქისტები იყვნენ. „რენოვაციონისტული“ ეკლესიის ზოგიერთი ლიდერი აქტიურად მონაწილეობდა „შავი ასეულის“ მოძრაობაში. მაგალითად, მამა ვლადიმერ კრასნიცკი, რომელიც ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ხელს უწყობდა „მატერიალისტურ ქრისტიანობას“, რევოლუციამდე საჯაროდ კითხულობდა ლექციებს ქრისტიანთა მსხვერპლშეწირვაზე, რომელსაც, თითქოსდა, ებრაელები აღასრულებდნენ. ის ასევე იყო „შავი ასეულის“ წევრი. ამ ორგანიზაციის სხვა წევრები, როგორიცაა, მაგალითად, მამა ტიხონ პოპოვი, ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ გახდა კომუნისტური რეჟიმის აქტიური თანამშრომელი.[38] მათი თანამშრომლობა მჩაგვრელ რეჟიმებთან არ შეცვლილა, მაშინაც კი, როცა რეჟიმები შეიცვალა.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ რელიგიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა მხოლოდ აირჩია მისი მოწონება, არამედ წამყვანი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში. ეკლესიამ ამ რელიგიას ენა და სიმბოლოები მისცა. უფრო მეტიც, მან დაარწმუნა სახელმწიფო, რომ მას ასეთი რელიგია სჭირდებოდა. ამრიგად, იერარქებმა და ეკლესიის

[37] პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა გაზეთში, „იზვესტია“, 1927 წლის 18 აგვისტოს, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/ycm6wv88

[38] M. Agurskiy, *Ideologiya natsional-bolshevizma* [ეროვნული ბოლშევიზმის იდეოლოგია] (Paris: YMCA-Press, 1980), 109–10. On Tikhon Popov see V. V. Bureha, "Popov Tykhon Dmytrovych", in *Kyivs'ka dukhovna akademiya v imenakh: 1819–1924* [კიევის სასულიერო აკადემია სახელების მიხედვით: 1819–1924 წწ.], ed. M. L. Tkachuk (Kyiv: Kyiv-Mohyla Academy Press, 2016), 2:452–54.

ოფიციალურმა მქადაგებლებმა წვლილი შეიტანეს იძულების ეთოსში, რომელიც ვლადიმერ პუტინის რუსეთში დომინირებს. ეპისკოპოს ტიხონ შევკუნოვის ყველაზე გაყიდვადი წიგნი „ყოველდღიური წმინდანები“,[39] იძულებას განმარტავს, როგორც ტრადიციული მართლმადიდებლური სულიერების ფორმას. მამა ვსევოლოდ ჩაპლინმა, ეკლესიის ოფიციალურმა სპიკერმა 2015 წლის დეკემბრამდე, არაერთხელ დაუჭირა მხარი „ანტიდასავლურ“ ომს უკრაინაში და „წმინდა“ ომს სირიაში.[40] ასევე საეკლესიო იერარქები ქებას არ აკლებენ ბატონ პუტინს, რომელიც ახორციელებს პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ რელიგიას. მაგალითად, ოდესის მიტროპოლიტმა აგაფანგელ სავვინმა (დაიბადა 1938 წელს), პუტინს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტობის მესამე ვადით არჩევა მიულოცა. მაამებლური რიტორიკის ეს ნიმუში სრულად უნდა იქნას ციტირებული:

> პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ოდესის მიტროპოლიის სამღვდელოებისა და მორწმუნეების, ოდესის მართლმადიდებლური თემისა და ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ბრწყინვალე და ღვთისგან კურთხეულ გამარჯვებას. ჩვენ ვხარობთ თქვენი სიხარულით. ჩვენს ლოცვებს ისმენს და იწყნარებს ღმერთი. 4 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიმის დღეს, გაიმარჯვა ღვთის ჭეშმარიტებამ, რომელშიც „წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ შეიმთხჳნეს, სიმართლემან და მშჳდობამან ამბორს-უყვეს“ (ფსალმუნი 84:11). თქვენი მეშვეობით, ვლადიმერ ვლადიმროვიჩ, გაიმარჯვეს რუსული საზოგადოების ჯანსაღმა ძალებმა, საბოლოოდ შეირისხნენ თქვენი პოლიტიკური ოპონენტები და რუსეთის მტრები.
>
> მოწყალე უფალმა, რომელიც ზრუნავს დიდი რუსეთის ხსნაზე, კვლავ აგირჩია და დაგაყენათ მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ასე რომ თქვენი სიბრძნის, ხიბლისა და გულის სითბოს ნათელმა გააძლიერა რუსული სახელმწიფოს განვითარების ეკლიანი გზა ამ საბედისწერო ისტორიულ ეტაპზე. ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ მისი ისტორიის ამ რთულ ეტაპზე დიდი რუსეთის ხალხი კვლავ გაერთიანდება თქვენ, როგორც მისი ეროვნული ლიდერის, დიდად პატივცემული ვლადიმირ ვლადიმეროვიჩის გარშემო. რუსული სახელმწიფოებრიობის სახელით და რუსეთის ძლიერი და ძლევამოსილი გადარჩენის სახელით. გულწრფელად გისურვებთ თქვენ, ახალი დემოკრატიული რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის სახელმწიფოს გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, რუსი ხალხის ერთგულ შვილს, რუსეთის მიწის მოქალაქეს და პატრიოტს და გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, შთაგონებას და ყოვლისშემძლე ღმერთის დახმარებას თქვენს მომავალ მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობაში რუსეთის სასიკეთოდ და რუსული სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, სიცრუეზე ჭეშმარიტების გამარჯვების აღსანიშნავად, ბოროტებაზე სიკეთის, საზოგადოებაში მშვიდობისა და ჰარმონიის შესანარჩუნებლად. ეს იყო ჩვენი მხურვალე ლოცვა. ზეციურმა ძალებმა დაგიფარონ! პატივისცემით, აგაფანგელი, ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტი, ოდესისა და ოდესის ოლქის საპატიო მოქალაქე, ოდესის საოლქო საბჭოს წევრი.[41]

---

[39] Tikhon Shevkunov, *Everyday Saints and Other Stories*, trans. Julian Henry Lowenfeld (Moscow: Pokrov, 2012).

[40] იხ. “Eks-spiker RPTs: Luchshe yadernaya voyna, chem Donbass v sostave Ukrainy” [რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი მქადაგებელი//speaker??: ატომური ომი ჯობია იმას, რომ დონბასი უკრაინის ნაწილი იყოს], *Religion in Ukraine*, May 27, 2016, https://tinyurl.com/yd7moykw; და Fred Weir, “Is Russia’s Intervention in Syria a ‘Holy War’? Russian Orthodox Church: ‘Yes,’” *The Christian Science Monitor*, November 23, 2015, https://tinyurl.com/ybcmebhw

[41] The Odessa Diocese of the Ukrainian Orthodox Church, ბოლოს ჩამოტვირთულია 2018 წლის 23 აპრილს, https://tinyurl.com/ybg74slw

ამდენად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, სახელმწიფოსთან შესაბამისობაში, თანმიმდევრულია რუსული პოლიტიკური რელიგიის ადრინდელ ვერსიებთან, მიუხედავად იმისა, რომ ცარისტული და საბჭოთა ვერსიები ერთმანეთთან შეუთავსებელია. მაგალითად, ეკლესია აგრძელებს პეტრე I-ის ანათემის მხარდაჭერას ივან მაზეპას წინააღმდეგ და დღემდე არ დაუგმია დარბევები. მისი ზოგიერთი ოფიციალური პირი გრიგოლ რასპუტინსაც კი უჭერს მხარს.[42] ეკლესია განაგრძობს ჰოლოდომორის, სტალინური პოლიტიკური რელიგიის ერთ-ერთ ყველაზე აღმაშფოთებელი დანაშაულის არსებობის უარყოფას. ის სულ უფრო და უფრო ემხრობა სტალინის რეაბილიტაციას, რომელმაც თითქმის გაანადგურა თავად ეკლესია. 2016 წელს ქალაქ ორელში სტალინის ძეგლი დამონტაჟდა. ეს ქმედება მოიწონა პატრიარქმა კირილემ და აკურთხა მისმა აღმსარებელმა, უხუცესმა ბერმა ილი ნოზდრინმა (დაიბადა 1932 წელს). საბოლოოდ, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ შესაძლებელი გახადა რუსული აგრესია უკრაინის წინააღმდეგ „რუსული სამყაროს“ საშუალებით. ის უკრაინის წინააღმდეგ რუსული ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ზოგიერთი ერისთვის გრძელი იყო გზა არაიძულებითი სამოქალაქო რელიგიიდან იძულებით პოლიტიკურ რელიგიამდე. გერმანელებს, მაგალითად, საუკუნეზე მეტი დასჭირდათ „კანტიდან კრუპამდე“[43] მოგზაურობისათვის. მართლმადიდებელი ერების უმეტესობისთვის კი ეს გზა გაცილებით მოკლე იყო. პოსტსაბჭოთა რუსეთმა ის ორ წელზე ნაკლებ დროში გაიარა. სამოქალაქო რელიგიები შეიძლება არ იყოს ისეთი საშიში, როგორც პოლიტიკური რელიგიები. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც სარისკოა, რადგან ადვილად შეუძლიათ მუტაცია განიცადონ უფრო ძალადობრივ ფორმებზე.

როდესაც ეკლესია მოიცავს სამოქალაქო ან პოლიტიკურ რელიგიას, ეს არის პოლიტიკური პროცესი. ის აუცილებლად აშორებს ეკლესიას თავისი თავდაპირველი მისიისა და დანიშნულებისაგან და მის მართლმადიდებლობას პოლიტიკურსა და არამართლმადიდებლურს ხდის. ეკლესიები თანხმდებიან, რომ შეასრულონ პოლიტიკური როლი ხალხში თავიანთი მისიის გაძლიერების იმედით. თუმცა შედეგი უმეტეს შემთხვევაში საპირისპიროა, რაც მოსალოდნელია კიდეც: პოლიტიკური მართლმადიდებლობა საბოლოოდ ძირს უთხრის ხალხის ნდობას ეკლესიის მიმართ. მთავრობებზე, რომლებიც მიესალმებიან ეკლესიის პოლიტიკურ ჩართულობას, თავდაპირველად ასევე დიდ იმედებს ამყარებენ. როგორც წესი, ისინი ამას აკეთებენ, როდესაც ლეგიტიმაციის კრიზისის წინაშე დგანან. ისინი იმედოვნებენ, რომ პოლიტიზებული რელიგია ხელს შეუწყობს მათი პოპულარობის გაუმჯობესებას ხალხში. თუმცა ეს ხშირად დიქტატურითა და საბოლოოდ რეჟიმის შეცვლით მთავრდება. პოლიტიკური მართლმადიდებლობა მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება იყოს მომგებიანი როგორც ეკლესიისთვის, ისე სახელმწიფოსთვის, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის ყოველთვის აზიანებს მათ.

---

[42] Statement made by Tikhon Shevkunov on March 20, 2017: https://goo.gl/IhHPY3

[43] წიგნის სათაური: იხ. Léon Daudet, *Contre l'esprit allemand: de Kant à Krupp* [გერმანული სულის პირისპირ: კანტიდან კრუპამდე] (Paris: Bloud et Gay, 1915).